№ 19683
04. 12. 2017

საქართველოს პარლამენტს

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 176-ე მუხლის შესაბამისად წარმოგიდგენთ „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის (№07-3/101, 02.11.2017) საყოველთაო-სახალხო განხილვის შემაჯამებელ ოქმს.

დანართი 16 ფურცელი.

პატივისცემით,

ირაკლი კობახიძე

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე,

საკონსტიტუციო ცვლილებების საყოველთაო-სახალხო
განხილვის საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარე

04.12.2017

„საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის (№07-3/101, 02.11.2017) საყოველთაო–სახალხო განხილვის

შემაჯამებელი ოქმი

2017 წლის 2 ნოემბერს საქართველოს პარლამენტს, საქართველოს კონსტიტუციის 102-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, პარლამენტის 116-მა წევრმა წარუდგინა „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტი (№07-3/101, 02.11.2017).

საქართველოს კონსტიტუციის 102-ე მუხლის მე-2 პუნქტში რეგლამენტირებულია პარლამენტის ვალდებულება, კონსტიტუციის გადასინჯვის პროექტის პარლამენტში განხილვის დაწყებამდე, შესაბამისი პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვისთვის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით. ამასთანავე, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 176-ე მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-3 პუნქტების თანახმად, კანონის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის უზრუნველყოფის მიზნით, პარლამენტი იღებს გადაწყვეტილებას საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის შექმნის თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტის 2017 წლის 2 ნოემბრის N1326-Iს დადგენილებით საყოველთაო-სახალხო განხილვისთვის გამოქვეყნებულ იქნა „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტი (№07-3/101, 02.11.2017). იმავდროულად შეიქმნა საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისია 10 წევრისგან, შემდეგი შემადგენლობით:

ირაკლი კობახიძე – საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე (კომისიის თავმჯდომარე);

თამარ ჩუგოშვილი – საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე;

ირმა ინაშვილი – საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე;

არჩილ თალაკვაძე – საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი;

მამუკა მდინარაძე – საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარე;

სალომე ზურაბიშვილი – დამოუკიდებელი პარლამენტის წევრი;

ვასილ გონაშვილი – ექსპერტი;

თენგიზ შარმანაშვილი – ექსპერტი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის თანაშემწე;

ლაშა ტუღუში – გაზეთ „რეზონანსის" მთავარი რედაქტორი;

თორნიკე ჭეიშვილი – საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტის მთავარი სპეციალისტი (კომისიის მდივანი).

საკონსტიტუციო ცვლილებების საყოველთაო-სახალხო განხილვის ფორმატში 3 საჯარო შეხვედრა გაიმართა. I შეხვედრა შედგა ქალაქ ქუთაისში, რომელშიც მონაწილეობდნენ დასავლეთ საქართველოში ავტორიზებული სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები, რეგიონული მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების რეგიონული ოფისების წარმომადგენლები. II შეხვედრა აღმოსავლეთ საქართველოს სახელმწიფო და კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა პროფესორ-მასწავლებლებთან გაიმართა ქალაქ თბილისში. აგრეთვე, ქალაქ თბილისში გაიმართა შეხვედრა კონსტიტუციური ორგანოების წარმომადგენლებთან. საორგანიზაციო კომისიის შექმნისა და გამართული შეხვედრების მიზანს წარმოადგენდა საზოგადოების მაქსიმალური ინფორმირება საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით და მოქალაქეთა დამოკიდებულების იდენტიფიცირება კონსტიტუციური კანონპროექტით გათვალისწინებულ შესწორებებზე. დაინტერესებულ პირებს

შესაძლებლობა ჰქონდათ წერილობითი ფორმით დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია შემოთავაზებული ცვლილებების თაობაზე (იხ. დანართი 2 ფურცლად).

ინფორმაცია საყოველთაო-სახალხო განხილვის მიმდინარეობის შესახებ სისტემატურად მიეწოდებოდა საქართველოს მოსახლეობას მედიისა და პარლამენტის ვებ-გვერდის მეშვეობით. საყოველთაო-სახალხო განხილვის ფორმატში გამართული შეხვედრები გადაიცემოდა საზოგადოებრივი მაუწყებლის მე-2 არხის პირდაპირ ეთერში.

ქუთაისი, 2017 წლის 17 ნოემბერი, საქართველოს პარლამენტის სასახლე

საყოველთაო-სახალხო განხილვას უძღვებოდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, საკონსტიტუციო ცვლილებების საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარე **ირაკლი კობახიძე.** აგრეთვე, განხილვას ესწრებოდნენ საორგანიზაციო კომისიის წევრები შემდეგი შემადგენლობით: **სალომე ზურაბიშვილი, თენგიზ შარმანაშვილი, ვასილ გონაშვილი, ლაშა ტუღუში, თორნიკე ჭეიშვილი.**

თავდაპირველად საზოგადოებას **საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ** მიმართა. მან მოქალაქეებს კონსტიტუციის ახალი რედაქცია მუხლობრივად გააცნო და ახლადინიცირებულ ცვლილებებზე ისაუბრა, რასაც საფუძვლად „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ კანონპროექტზე ვენეციის კომისიის მიერ 2017 წლის 6 ოქტომბერს დამტკიცებულ დასკვნაში ასახული რეკომენდაციები დაედო. ამდენად, საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარემ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის:

- მე-16 მუხლზე, სადაც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შესაბამისად ზუსტდება რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლების შეზღუდვის კონსტიტუციური საფუძვლები. კერძოდ, კანონპროექტი ითვალისწინებს ახალი რედაქციიდან სიტყვების – „სახელმწიფო უსაფრთხოება“, „დანაშაულის თავიდან აცილება“ და „მართლმსაჯულების განხორციელება“ ამოღებას;

- 37-ე მუხლზე, საიდანაც ხდება ე.წ. ბონუსის სისტემის ამოღება და, შესაბამისად, საპარლამენტო არჩევნებში ყველა მანდატი განაწილდება პოლიტიკური პარტიის მიერ მიღებული ხმების პროპორციულად;
- 50-ე მუხლზე, რომელშიც ტერმინი „ხმოსანი“ იცვლება ტერმინით „საარჩევნო კოლეგიის წევრი“, რაც უკავშირდება ტერმინ „ხმოსანთან“ დაკავშირებით არაერთგვაროვან დამოკიდებულებას საზოგადოებაში;
- მე-60 მუხლზე, რომელშიც ფართოვდება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებები საარჩევნო ნორმებისა და არჩევნების არაკონსტიტუციურად ცნობასთან დაკავშირებით. კერძოდ, 3 თვით იზრდება შესაბამისი სარჩელის განხილვის ვადები. გარდა ამისა, უქმდება ჩანაწერი, რომლის თანახმადაც, არჩევნების კონსტიტუციურობის საკითხს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი წყვეტს სიითი შემადგენლობის სრული თანხმობით;
- გარდამავალი დებულებების მე-2 მუხლზე, რომელიც მომდევნო საპარლამენტო არჩევნებში იძლევა ერთჯერადად ბლოკების მონაწილეობის შესაძლებლობასაც.

ამის შემდეგ განხილვა ინტერაქტიულ რეჟიმში გაგრძელდა:

მოქალაქემ დააყენა კონსტიტუციის პრეამბულაში 1921 წლის კონსტიტუციასთან დაკავშირებით, გარდა ისტორიულ-სამართლებრივი მემკვიდრეობისა, ქონებრივი მემკვიდრეობის დამატების მიზანშეწონილობის საკითხი. აგრეთვე, მისი აზრით, ახალი რედაქციის მე-6 მუხლში კერძო საკუთრების უფლებასთან დაკავშირებით არ არის საჭირო ტერმინის „საყოველთაო“ გამოყენება. მანვე დააფიქსირა პოზიცია, ზოგადად, კონსტიტუციის ტექსტში ქართული ტერმინების გამოყენების მნიშვნელობის შესახებ და დადებითად შეაფასა ვენეციის კომისიის რეკომენდაციების გათვალისწინების ფაქტი.

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელი დაინტერესდა პარლამენტის მიერ აღმასრულებელი ხელისუფლების მაკონტროლებელი ბერკეტების რეგლამენტაციის შესახებ კონსტიტუციის ახალ რედაქციაში, მათ შორის, ინტერპელაციისა და უნდობლობის გამოცხადების მექანიზმებთან დაკავშირებული ნიუანსებით.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა, კონსტიტუციის ახალი რედაქციის 68-ე მუხლიდან გამომდინარე, დასვა ეროვნული ბანკის საქმიანობის უმთავრესი მიზნის - ფასების სტაბილურობის კონსტიტუციური რეგლამენტაციის მიზანშეუწონლობის საკითხი. მისი აზრით, ხსენებული ასპექტი შეიძლება დარეგულირდეს ორგანული კანონით ან პარლამენტის მიერ განისაზღვროს ყოველწლიურად. აგრეთვე, პროფესორმა გამოთქვა აზრი საკუთრების უფლების მარეგულირებელ ჩანაწერზე, რომელშიც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების მესაკუთრე სუბიექტების ჩამონათვალში არ არის მოხსენიებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელი დაინტერესდა, სად არის კონსტიტუციის ახალ რედაქციაში გაწერილი ადამიანის დაკავებისა და ბრალდებულის წინასწარი პატიმრობის ვადებთან დაკავშირებით რეგულაციები და, ასევე, არის თუ არა შენარჩუნებული მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპი კონსტიტუციის ტექსტში.

მოქალაქემ კმაყოფილება გამოხატა განხილვის ფორმატთან დაკავშირებით. ამასთანავე, მან კრიტიკულად შეაფასა საარსებო მინიმუმის უზრუნველყოფის ასპექტის პრაქტიკული რეალიზაციის საკითხი, მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციის მოქმედ და ახალ რედაქციებში ასახულია შესაბამისი გარანტიები. მანვე ხაზი გაუსვა საგარეო სფეროში პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის კომპეტენციების შესახებ ნორმების ბუნდოვანებას. ამავე დროს, მოქალაქემ ილაპარაკა უცხოელთათვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გასხვისების შეზღუდვის გათვალისწინებით, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების თავისუფალ ბრუნვაზე და ხაზი გაუსვა, რომ თუ იარსებებს მიწის კატეგორიის შეცვლის გამარტივებული წესი, მაშინ ამ გზით, საბოლოო ჯამში, შეიძლება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებიც გასხვისდეს უცხოელებზე.

ჟურნალისტმა ირინე მაკარიძემ ნეგატიურად შეაფასა მიდგომა საარჩევნო ბლოკების გაუქმებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ჯერ-ჯერობით საქართველოში ეს ნაადრევია, მით უმეტეს 5%-იანი საარჩევნო ბარიერის პირობებში. იმავდროულად, იგი დაინტერესდა ადგილობრივი თვითმმართველობის მარეგულირებელი ნორმების კუთხით რა ახალი გარანტიებია ჩადებული კონსტიტუციაში.

ზუგდიდის შოთა მესხიას სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის წარმომადგენელმა ითხოვა დაზუსტება კონსტიტუციის ახალი რედაქციის 61-ე მუხლში მოსამართლეთა არჩევასთან დაკავშირებით ტერმინ „უვადო"-ს გამოყენების შესახებ. ამავე კონტექსტში იგი დაინტერესდა რატომ ირჩევა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე მხოლოდ 10 წლის ვადით, მაშინ როდესაც უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები უვადოდ აირჩევიან.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი მიესალმა საყოველთაო განხილვის ფორმატს, რომელიც გულისხმობს აკადემიური წრეების ფართო ჩართულობას შესაბამის დისკუსიებში. მან დასვა კითხვა პარლამენტის საბიუჯეტო კომპეტენციებთან დაკავშირებით. კერძოდ, ხომ არ სუსტდება პარლამენტის როლი ბიუჯეტის დამტკიცების პროცესში, ვინაიდან, ახალ რედაქციაში ბიუჯეტის ვერ-მიღება ექსპლიციტურად აღარ უკავშირდება მთავრობის უნდობლობის გამოცხადების საკითხის აღძვრას.

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის პოზიციით, უპრიანი იქნებოდა კონსტიტუციის ახალი რედაქციის მე-5 მუხლში გაწერილიყო რეგულაცია გარემოს დაცვის შესახებ. მანვე გაამახვილა ყურადღება 29-ე მუხლში გამოყენებულ ტერმინზე „ეკოლოგიური განვითარება", რომელიც მისი პოზიციით, ზოგადად, არ გამოიყენება. არამედ, მდგრადი განვითარება ისედაც მოიცავს გარემოსდაცვითი კუთხით ყველანაირ განვითარებას.

მოქალაქემ აქცენტი გააკეთა ახალი რედაქციის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტზე და განაცხადა, რომ ანაკლიასთან დაკავშირებით წარმოდგენილი კონკრეტიკა არ არის მიზანშეწონილი.

აჭარის ტელევიზია და რადიოს ჟურნალისტმა, ნატალია კიკვაძემ ყურადღება გაამახვილა საკონსტიტუციო რეფორმის პროცესში ვენეციის კომისიის პოზიციაზე ოპოზიციასთან კონსესუსის მიღწევის შესახებ. ამავე დროს, მან აღნიშნა, რომ ვინაიდან განხილვას ოპოზიცია არ ესწრება, ე.ი. კონსესუსი არ არსებობს და ვენეციის კომისიის ზემოხსენებული მოწოდებაც არ სრულდება. შესაბამისად, ჟურნალისტი დაინტერესდა, რა ნაბიჯების გადადგმა იგეგმება სამომავლოდ ოპოზიციასთან თანამშრომლობის მიმართულებით.

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა, როზა ლორთქიფანიძემ მადლობა გადაუხადა შეხვედრის ორგანიზატორებს. მან ნეგატიურად შეაფასა ის ფაქტი, რომ კონსტიტუციის ახალი რედაქციის მე-7 მუხლში მიწასთან და წიაღისეულთან ერთად არ არის ნახსენები კანონმდებლობა ტყისა და წყლის რესურსების შესახებ, მით უმეტეს, მაშინ, როდესაც გარემოს დაცვის სამინისტრო დამოუკიდებელ ინსტიტუციად აღარ იარსებებს.

მიხეილ კოტიშაძემ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან პრობლემურად წარმოაჩინა კონსტიტუციის ახალი რედაქციის 76-ე მუხლის 1-ლი პუნქტის პრაქტიკული რეალიზაციის საკითხი, რადგანაც დღემდე ვერ ხერხდება თვითმმართველი ერთეულისა და სახელმწიფო ქონების გამიჯვნა. მანვე კრიტიკულად შეაფასა პარლამენტის წევრისთვის დადგენილი ასაკობრივი ცენზი და აღნიშნა, რომ ეს ცენზი უფრო მაღალი უნდა იყოს.

ცისკარა ფაჩულიამ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან გამოთქვა მოსაზრება კონსტიტუციის ახალი რედაქციის მე-7 მუხლში ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შესახებ ჩანაწერის - სტრატეგიული დოკუმენტის, დაფიქსირების საჭიროებაზე.

საქართველოს მედიამონიტორინგის ცენტისა და „გურიანიუსის" წარმომადგენლის, ია მამალაძის აზრით, უკეთესი იქნებოდა თუ მსგავსი შეხვედრა მიმდინარე წლის 13 ოქტომბრამდე გაიმართებოდა. მან აღნიშნა, რომ საჭიროა საყოველთაო განხილვის მექანიზმის დახვეწა. მანვე ითხოვა დაზუსტება ახალი რედაქციის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტთან დაკავშირებით, კერძოდ, რას ნიშნავს საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის ან სხვა უფლებების დაცვის მიზნით რწმენის, აღმსარებლობის ან სინდისის თავისუფლების შეზღუდვის შესაძლებლობა.

სტუდენტი დაინტერესდა, თუ რატომ არ ითვალისწინებს საქართველოს კონსტიტუცია ე.წ. მუდმივ ნორმებს და იყო თუ არა აღნიშნულთან დაკავშირებით მსჯელობა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიაში.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ითხოვა განმარტება პატივის უფლების კონსტიტუციურ რეგლამენტაციასთან დაკავშირებით.

მოქალაქე დაინტერესდა, საკანონმდებლო ტექნიკის კონტექსტში, მიღებული ტექსტი წარმოადგენს მოქმედი კონსტიტუციის ახალ რედაქციას თუ ახალ კონსტიტუციას.

„TV-25"-ის ბათუმის საინფორმაციო სამსახურის უფროსმა, სულხან მესხიძემ ითხოვა დაზუსტება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კუთხით, თუ რა სტანდარტს ამკვიდრებს კონსტიტუციის ახალი რედაქცია.

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი მაია მიქაუტაძე კონსტიტუციის ახალი რედაქციის 71-ე მუხლიდან გამომდინარე დაინტერესდა, შემოიფარგლება თუ არა საქართველოს პრეზიდენტის, როგორც თავდაცვის ძალების უმაღლესი მთავარსარდლის უფლებამოსილება მხოლოდ საომარი ან საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებით.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ თითოეულ კითხვას უპასუხა და სიტყვა საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის წევრებს გადასცა.

საქართველოს პარლამენტის წევრმა, სალომე ზურაბიშვილმა საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით კონსესუსის საკითხზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ აბსოლუტური კონსესუსის მიღწევის პრეცენდენტი თანამედროვე მსოფლიოში არ არსებობს. ამასთან, მან დასძინა, რომ იგი კონსტიტუციის ახლადმიღებული რედაქციის ყველა ასპექტს არ ეთანხმება, მაგრამ, ამ რედაქციას აქვს ძალიან ბევრი პროგრესული ნორმა, მათ შორის, ძირითადი უფლებების ნაწილში, რის გამოც პროექტს მხარი დაუჭირა. სალომე ზურაბიშვილმა უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან დაკავშირებულ საკითხზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ წარმოდგენილი ცვლილებებით, მათთვის მეტად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იქნება მიღებული. კერძოდ, 32-ე მუხლის ახალი რედაქციის თანახმად, უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებს სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღების შემთხვევაში საქართველოს მოქალაქეობა აღარ შეუწყდებათ.

ექსპერტმა თენგიზ შარმანაშვილმა საპარლამენტო მმართველობის პირობებში პრეზიდენტის უფლებამოსილების შესახებ ისაუბრა და განაცხადა, რომ აღმასრულებელ ხელისუფლებას მმართველობის მსგავს მოდელში მთლიანად ახორციელებს მთავრობა. შესაბამისად, არანაირი პირდაპირი აღმასრულებელი ფუნქციები საქართველოს პრეზიდენტს არ გააჩნია და არც შეიძლება გააჩნდეს ამ

სისტემაში. მანვე გაამახვილა ყურადღება პარტიების განვითარების მნიშვნელობაზე და ხაზი გაუსვა მანკიერ პრაქტიკას ე.წ. ერთ ლიდერიანი პარტიების არსებობასთან დაკავშირებით, რაც აუცილებლად უნდა აღმოიფხვრას.

ექსპერტმა ვასილ გონაშვილმა აღნიშნა, რომ კონსტიტუციური რეფორმა განხორციელდა ევროპული კონსტიტუციონალიზმის თანამედროვე ტენდენციების კვალდაკვალ, რაც საქართველოში კლასიკური ტიპის საპარლამენტო მმართველობის მოდელის დამკვიდრების საფუძველს წარმოადგენს. მან პრეზიდენტის არჩევის შემოთავაზებულ წესთან დაკავშირებით განაცხადა, რომ სწორედ ასეთი მიდგომა მოქმედებს ზემოხსენებულ კლასიკურ საპარლამენტო რესპუბლიკებში. ვასილ გონაშვილმა, აგრეთვე, ყურადღება გაამახვილა ორპალატიანი პარლამენტის პერსპექტივაზე, რის შესახებაც გადაწყვეტილება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ უნდა იქნეს მიღებული.

გაზეთ „რეზონანსის“ მთავარმა რედაქტორმა, ლაშა ტუღუშმა განაცხადა, რომ განხორციელებულმა რეფორმამ კარგად წარმოაჩინა ქართულ საზოგადოებაში არსებული რესურსი და ცვლილებები დადებითად შეაფასა. თუმცა, ამავე დროს მან აღნიშნა, რომ კვლავ არსებობს მთელი რიგი გამოწვევები. კერძოდ, ბლოკების გაუქმების, პრეზიდენტის არჩევის წესისა და პარტიების დაფინანსების რეგულაციებთან თვალსაზრისით. ლაშა ტუღუშმა წუხილი გამოთქვა, რომ განხილვას არ ესწრებიან ოპოზიციური პარტიები და ისაუბრა კონსესუსის მნიშვნელობაზე, რომლის მიღწევის პერსპექტივაც, მისი აზრით, ჯერ კიდევ არსებობს.

დასასრულს **საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ** შეხვედრა შეაჯამა. მისი განცხადებით, საკონსტიტუციო ცვლილებების პოზიტიური მხარე და მისი სარგებელი უნდა იგრძნოს თითოეულმა მოქალაქემ. ხოლო ხსენებული ცვლილებების მთავარი შედეგი იქნება ის, რომ საქართველოში აღარასდროს განმეორდება ავტორიტარული ან თუნდაც ნახევრად ავტორიტარული მმართველობა. ამით შეხვედრა დასრულდა.

თბილისი, 2017 წლის 24 ნოემბერი,
საქართველოს პარლამენტის სასახლე

საყოველთაო-სახალხო განხილვას უძღვებოდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, საკონსტიტუციო ცვლილებების საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარე **ირაკლი კობახიძე.** აგრეთვე, განხილვას ესწრებოდნენ საორგანიზაციო კომისიის წევრები შემდეგი შემადგენლობით: **არჩილ თალაკვაძე, მამუკა მდინარაძე, სალომე ზურაბიშვილი, თენგიზ შარმანაშვილი, ვასილ გონაშვილი, ლაშა ტუღუში, თორნიკე ჭეიშვილი.**

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ დამსწრე საზოგადოებას საკონსტიტუციო ცვლილებების საყოველთაო-სახალხო განხილვაში მონაწილეობისთვის მადლობა გადაუხადა და საკონსტიტუციო რეფორმის ძირითად მოტივებზე გაამახვილა ყურადღება. მისი განცხადებით, ცვლილებების ავტორთა უმთავრეს ამოცანას მაქსიმალურად დემოკრატიული სისტემის ჩამოყალიბება წარმოადგენს. პარლამენტის თავმჯდომარემ, აგრეთვე, დასძინა, რომ საკონსტიტუციო რეფორმის პროცესი ზედმეტად პოლიტიზირებული იყო, რის გამოც, სამწუხაროდ, პრაქტიკულად არ დარჩა აკადემიური განხილვების მოწყობის შესაძლებლობა და 24 ნოემბრის განხილვა აღნიშნულის ერთგვარ კომპენსაციასაც წარმოდგენდა. პარლამენტის თავმჯდომარემ, მუხლობრივად მიმოიხილა რა, კონსტიტუციის ახალი რედაქცია, განსაკუთრებული აქცენტი მე-16, 37-ე, 50-ე, მე-60 და გარდამავალი დებულებების მე-2 მუხლზე გააკეთა. მან განმარტა, თუ რატომ გახდა საჭირო დამატებითი შესწორებების შეტანა კონსტიტუციის ახლადმიღებულ რედაქციაში. კერძოდ, ყურადღება გაამახვილა „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ კანონპროექტზე ვენეციის კომისიის მიერ 2017 წლის 6 ოქტომბერს დამტკიცებულ დასკვნაში ასახულ რეკომენდაციებსა და მისგან გამომდინარე ინიცირებულ ცვლილებებზე.

ამის შემდეგ განხილვა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი სოსო ხელაშვილი დაინტერესდა, თუ რით არის განპირობებული ანაკლიისთვის განსაკუთრებული კონსტიტუციური სტატუსის მინიჭება, მაშინ, როდესაც არსებობს განსაკუთრებული რეჟიმის სხვა ზონებიც, მათ შორის: ქუთაისის

ინდუსტრიული ზონა, განმუხურის თავისუფალი ტურისტული ზონა და ქობულეთის თავისუფალი ტურისტული ზონა.

საქართველოს უნივერსიტეტის რექტორმა, კოკა თოფურიამ პოზიტიურად შეაფასა კონსტიტუციის ახალი რედაქციის მე-6 მუხლში ეკონომიკური თავისუფლების შესახებ ჩანაწერის გაკეთება. ამავე დროს, იგი დაინტერესდა თუ რა პრინციპით განისაზღვრა 12-წლიანი მოქმედების ვადა გარდამავალ დებულებებში გადატანილი რეგულაციისთვის, მხოლოდ რეფერენდუმის გზით საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადების გაზრდის უფლების შესახებ.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა, მალხაზ მაცაბერიძემ აღნიშნა, რომ უპრიანი იქნებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციასთან ახლადმიღებული რედაქციის კავშირის უფრო მკაფიოდ წარმოჩენა. ამასთანავე, მისი პოზიციით, ნაცვლად დეტალური კონსტიტუციური რეგულირებისა, კონსტიტუციის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად შესაძლებელია იმ საკითხების ორგანული კანონით დარეგულირება, რომელიც დღეს-დღეობით პოლიტიკური დებატების საგანს წარმოადგენს.

ილიას სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორი და ადამიანის უფლებების მიმართულების ხელმძღვანელი, თამარ გურჩიანი დადებითად გამოეხმაურა თანასწორობის უფლებასთან დაკავშირებით ახალი კონსტიტუციური სტანდარტის დამკვიდრებას, მათ შორის, ქალისა და მამაკაცის თანასწორობის, ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებრივი თანასწორობის ასახვის თვალსაზრისით. მეორე მხრივ, მან მწუხარებით აღნიშნა, რომ ამავე მუხლში ექსპლიციტურად არ ჩაიწერა ნორმა ადამიანების დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ მათი გენდერული იდენტობისა და სექსუალური ორიენტაციის ნიშნით. ხოლო, ახალი რედაქციის 30-ე მუხლიდან გამომდინარე ერთნაირ სქესიან ადამიანებს პირდაპირ შეეზღუდათ ქორწინების უფლება.

საქართველოს მეცინერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა, გიორგი კვესიტაძემ დადებითად შეაფასა განხორციელებული საკონსტიტუციო რეფორმა. ამავე დროს, მან ხაზი გაუსვა მეცნიერების, განსაკუთრებით კი ფუნდამენტური მეცნიერების მიმართ სახელმწიფოს მიერ მეტი ყურადღების გამოჩენის საჭიროებას.

თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტების რექტორი ვახტანგ ლეჟავა ნეგატიურად გამოეხმაურა საკუთრების უფლების კონტექსტში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებთან დაკავშირებით ჩადებულ შეზღუდვას. მისი აზრით, ხსენებული რეგულაცია უარყოფით გავლენას მოახდენს ქვეყანაში საინვესტიციო გარემოზე. აგრეთვე, ვახტანგ ლეჟავამ კრიტიკულად შეაფასა ინტერნეტის უფლების რეგლამენტაცია, ვინაიდან ინტერნეტი წარმოადგენს შეზღუდულ რესურსს და ამ უფლების რეალიზაცია სახელმწიფოს დამატებით ვალდებულებებთან შეიძლება იყოს დაკავშირებული.

გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა, ანა ფირცხალაშვილმა პოზიტიური დამოკიდებულება დააფიქსირა ინიცირებულ ხუთივე შესწორებასთან დაკავშირებით. ამასთან, მან ყურადღება გაამახვილა ტერმინ „ხმოსანთან“ დაკავშირებით და აღნიშნა, რომ მიუხედავად გარკვეული ქილიკისა ზემოხსენებულ ტერმინზე, საჭიროა ქართული სიტყვების გამოყენება ქვეყნის უზენაეს კანონში და, მათ შორის, ხმოსანიც სრულად გადმოსცემს იმ შინაარსს, რა ფუნქციის მატარებელიცაა საარჩევნო კოლეგიის წევრი. ანა ფირცხალაშვილმა, აგრეთვე, პრობლემურად წარმოაჩინა კონსტიტუციის ახალი რედაქციის 34-ე მუხლის მე-3 პუნქტში ასახული პროპორციულობის პრინციპის გავრცელების შესაძლებლობა მე-9 მუხლით განმტკიცებულ ღირსების უფლებაზე, რომელიც, თავისმხრივ, აბსოლუტური უფლებაა.

პროფესორმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ კონსტიტუციის ახალი რედაქცია კარგად გასაგები და მარტივი ენით არის დაწერილი, რაც ცალსახად დადებითი ფაქტია. იგი, ასევე, შეეხო მე-3 მუხლში რეგლამენტირებულ ფორმულირებას სახელმწიფოს მიერ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული განვითარებისთვის ზრუნვასთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ უკეთესი იქნებოდა თუ ხსენებული ნორმაში ტერმინი „თანაბრობა“ დაუკავშირდებოდა სახელმწიფოს და არა განვითარებას. გარდა ამისა, მან აქცენტი გააკეთა ტერმინის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი“ აქტუალობის დაკარგვის საკითხზე და ყურადღება გაამახვილა შესაბამისი სინონიმის მოძიების საჭიროებაზე. ასევე, პროფესორმა განაცხადა, რომ გარემოს დაცვის მარეგლამენტირებელი 29-ე მუხლი საჭიროებს კორექტირებას.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის წარმომადგენელი გიორგი გორაძე გამოეხმაურა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ კონსტიტუციური

კანონის არარსებობის ფაქტს, რაც კონსტიტუციის დარღვევადაც კი შეიძლება იქნეს მიჩნეული. შესაბამისად, მისი პოზიციით, უპრიანია კონსტიტუციური კანონპროექტის მომზადება, რომელშიც ასახული იქნება სახელმწიფოს პოზიცია ავტონომიურ ერთეულთან მიმართებით. მანვე ისაუბრა პარლამენტის საბიუჯეტო კომპეტენციების გაზრდაზე, კერძოდ, ბიუჯეტში დამოუკიდებლად, მთავრობის თანხმობის გარეშე ცვლილების შეტანის უფლებამოსილების რეგლამენტაციის მიზანშეწონილობაზე და, აგრეთვე, ბიუჯეტის მიუღებლობის შემთხვევაში ავტომატურად მთავრობის უნდობლობის საკითხის აღძვრაზე.

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, გიორგი ციცაგმა კონსტიტუციის ახალი რედაქციის 47-ე მუხლთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია დამატებით საერთაშორისო ხელშეკრულებიდან გამოსვლის უფლების რეგლამენტაცია, ვინაიდან, დენონსაციას და გამოსვლას, როგორც ტერმინებს შორის, არის გარკვეული სხვაობა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელი კარლო ნიკოლეიშვილი შეეხო კონსტიტუციის ახალი რედაქციის მე-5 მუხლის მე-7 პუნქტში ტერმინ „თანამემამულისა“ და „სამშობლოს“ ასახვის საკითხს, რომელიც, მისი აზრით, უფრო სოციალური ხასიათის მატარებელია, ვიდრე სამართლებრივის. ამიტომ, მან დააყენა ხსენებული ტერმინების სინონიმებით ჩანაცვლების საკითხი. აგრეთვე, მან ისაუბრა სიცოცხლის უფლების შეზღუდვის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძვლების გაწერის მიზანშეწონილობაზე, ისევე, როგორც შეკრების თავისუფლების ძირითად უფლებასთან დაკავშირებით ჩარევის ზღვრების დაკონკრეტების საჭიროებაზე.

საპატრიარქოს უნივერსიტეტის წარმომადგენელი გიორგი ანდრიაძე დაინტერესდა მოქალაქეობის ჩამორთმევასა და მოქალაქეობის დაკარგვის წესს შორის ტერმინოლოგიურ განსხვავებაზე. მანვე ხაზი გაუსვა დიასპორების საკითხის კონსტიტუციაში მკაფიო რეგლამენტაციის საჭიროებას.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, გიორგი შარვაშიძემ ერთმნიშვნელოვნად დადებითად შეაფასა ქვეყნის ძირითად კანონში აკადემიური თავისუფლების შესახებ ჩანაწერის გაჩენა, რაც მაგალითის მიმცემია არაერთი ევროპული სახელმწიფოსთვის. ამავე დროს, გიორგი შარვაშიძემ

ყურადღება გაამახვილა უნივერსიტეტის ავტონომიის პრინციპის კონსტიტუციური რეგლამენტაციის მიზანშეწონილობაზე.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, ზურაბ ხონელიძემ ყურადღება გაამახვილა ანაკლიასთან დაკავშირებით კონსტიტუციის ახალი რედაქციის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტში გაკეთებულ ჩანაწერზე. მისი პოზიციით, გარდა ეკონომიკური სარჩულისა, ამ ჩანაწერს აქვს სამშვიდობო პროცესის სტიმულირების ეფექტიც, რომელიც უნდა მოემსახუროს რეინტეგრაციას. შესაბამისად, მან დააყენა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარედ ადმინისტრაციულ საზღვრისპირა რეგიონში განსაკუთრებული ეკონომიკური და სამშვიდობო საგანმანათლებლო, აკადემიური და საუნივერსიტეტო ზონების ორგანული კანონით შექმნის საკითხი.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ თითოეულ კითხვას უპასუხა, მათ შორის, გამოეხმაურა გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის, ანა ფირცხალაშვილის პოზიციას ტერმინ „ხმოსანთან“ დაკავშირებით. კერძოდ, პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, „ხმოსანი“ მართლაც ქართული ტერმინია, მაგრამ სამწუხაროდ ის გახდა ქილიკის საგანი, ისევე, როგორც მთელი საარჩევნო კოლეგია, როგორც ინსტიტუტი. მან ყურადღება გაამახვილა საარჩევნო კოლეგიის მიერ პრეზიდენტის არჩევის პროცედურის იურიდიულ ხარვეზიანობაზე და ამ კუთხით აღნიშნა, რომ ვინაიდან ადგილობრივი თვითმმართველობა არ არის მმართველობის პოლიტიკური დონე, საარჩევნო კოლეგიის დაახლოებით 100 წევრის დაკომპლექტება თვითმმართველობების წარმომადგენლებით, პრობლემური საკითხია. ამასთანავე, პარლამენტის თავმჯდომარემ დააფიქსირა მზაობა საჭიროების შემთხვევაში, ამ თემასთან დაკავშირებით გარდა ტერმინოლოგიური ცვლილებებისა, უფრო ღრმა მსჯელობის გასამართად, მით უმეტეს, იმის გათვალისწინებით, რომ გუნდში საკმაოდ ხშირია საუბრები პრეზიდენტის საპარლამენტო არჩევის წესთან დაკავშირებით.

ამის შემდეგ საზოგადოებას საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის წევრებმა მიმართეს:

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა, არჩილ თალაკვაძემ ხაზი გაუსვა საკონსტიტუციო რეფორმის პროცესში აკადემიური საზოგადოების წარმომადგენელთა ჩართულობის მაღალ მნიშვნელობას. მან უაღრესად დადებითად

შეაფასა ხსენებული საკონსტიტუციო რეფორმა და მას უპრეცენდენტოდ მონაწილეობითი უწოდა. შესაბამისად, არჩილ თალაკვაძემ მადლობა გადაუხადა ყველა იმ პირსა თუ ორგანიზაციას, რომელიც ბოლომდე იყო ჩართული სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის საქმიანობაში. მანვე ისაუბრა საკონსტიტუციო ცვლილებების ფართო საზოგადოებრივ მხარდაჭერაზე, რაც დაფიქსირდა როგორც საყოველთაო-სახალხო განხილვების ფორმატში მთელი საქართველოს მასშტაბით გამართულ არაერთ შეხვედრაზე, ისე, დადასტურდა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგებით. გარდა ამისა, არჩილ თალაკვაძე შეეხო იმ ოთხ ძირითად პრინციპს, რომელიც საფუძვლად დაედო საკონსტიტუციო რეფორმას: ძლიერი პარლამენტი, ქმედითი მთავრობა, დამოუკიდებელი მართლმსაჯულება და ზეპარტიული პრეზიდენტი. ამასთანავე, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა აქცენტი გააკეთა მმართველი გუნდის მიერ რიგ საკითხებთან დაკავშირებით გაკეთებულ კომპრომისებზე, როგორიცაა: მომდევნო საპარლამენტო არჩევნებზე 3%-იანი საარჩევნო ბარიერი და ბლოკების დაშვება, ასევე ბონუსის სისტემის გაუქმება. დასასრულს, არჩილ თალაკვაძემ განაცხადა, რომ განხორციელებული ცვლილებებით კონსტიტუცია, რომელიც ყველა წინა ხელისუფლებას უნდოდა თავისთვის, დაუბრუნდა ხალხს.

საქართველოს პარლამენტის წევრმა, სალომე ზურაბიშვილმა წუხილი გამოთქვა იმის გამო, რომ გარკვეული პოლიტიკური მოტივებით, მისმა კოლეგებმა უარი თქვეს პროცესში მონაწილეობაზე, მაშინ როდესაც მათი ჩართულობის პირობებში შეიძლებოდა რიგი საკითხების კიდევ უფრო დახვეწა. მან, აგრეთვე, გაიზიარა პოზიცია საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციასთან სრული სამართალმემკვიდრეობის გამოცხადების საკითხზე. გარდა ამისა, სალომე ზურაბიშვილმა გააჟღერა ინიციატივა ორმაგ მოქალაქეობასთან დაკავშირებით კონსტიტუციის ახლადმიღებულ რედაქციაში გაკეთებული ჩანაწერის გამოქვეყნებისთანავე ამოქმედებაზე, რაც უნდა გაიწეროს კონსტიტუციური კანონპროექტის გარდამავალ დებულებებში.

ექსპერტმა ვასილ გონაშვილმა თავდაპირველად ისაუბრა საკონსტიტუციო რეფორმის პროცესის გამჭვირვალობაზე და სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შრომატევადობაზე. იგი გამოეხმაურა რეპლიკას კონსტიტუციის დეტალიზაციის შესახებ. კერძოდ, ვასილ გონაშვილის განცხადებით აღმოსავლეთ ევროპის კონსტიტუციებში გვხვდება 8000-10000 სიტყვა, რა პარამეტრსაც საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქცია სრულად შეესაბამება. გარდა ამისა,

მან მიმოიხილა საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური პრაქტიკა საარჩევნო ბლოკების, საარჩევნო ბარიერის, ბონუსის სისტემის თვალსაზრისით. დასასრულს, ვასილ გონაშვილმა მიმოიხილა და პოზიტიურად შეაფასა კონსტიტუციის გადასინჯვის ახალი წესი.

გაზეთ „რეზონანსის“ მთავარმა რედაქტორმა, ლაშა ტუღუშმა ყურადღება გაამახვილა გამოწვევებზე, რომელიც, მისი აზრით, კვლავ დგას დღის წესრიგში. ამ თვალსაზრისით, მან გამოყო კონსესუსის დეფიციტი და აღნიშნა, რომ კონსტიტუცია არ არის მხოლოდ იურიდიული ნაწარმოები, არამედ ის არის პოლიტიკური დოკუმენტიც და რაც არ უნდა დახვეწილი იყოს კონსტიტუციის ტექსტი სამართლებრივად, მასზე უნდა არსებობდეს მხარეებს შორის თანხმობაც. ამ თვალსაზრისით მან გულისტკივილი გამოთქვა ოპოზიციის გამოთიშვაზე მიმდინარე პროცესებიდან. საარჩევნო სისტემაზე საუბრისას ლაშა ტუღუში შეეხო პროპორციულ სისტემაზე გადასვლის გადავადებას 2024 წლისთვის, მაშინ როდესაც ეს შეიძლებოდა 2020 წელსაც მომხდარიყო. ხოლო, პრეზიდენტის ინტიტუტთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ შეიძლებოდა მისთვის დამატებითი ფუნქციების მინიჭება, მაგალითად, უზენაესი სასამართლოს ფორმირების დროს. ბოლოს მან გამოთქვა იმედი, რომ საზოგადოება გადადგამს კიდევ უფრო სერიოზულ ნაბიჯებს ქვეყანაში გაჯანსაღებული პოლიტიკური გარემოს მისაღებად.

დასასრულს **საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ** შეხვედრა შეაჯამა და შეკრებილ საზოგადოებას მადლობა გადაუხადა მონაწილეობისთვის. ამით შეხვედრა დასრულდა.

თბილისი, 2017 წლის 27 ნოემბერი,
საქართველოს პარლამენტის სასახლე

კონსტიტუციური ორგანოების წარმომადგენლებთან ინიცირებული საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვას უძღვებოდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, საკონსტიტუციო ცვლილებების საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარე **ირაკლი კობახიძე.** აგრეთვე, განხილვას ესწრებოდნენ საორგანიზაციო კომისიის წევრები შემდეგი შემადგენლობით: **არჩილ თალაკვაძე, მამუკა მდინარაძე, სალომე ზურაბიშვილი, თენგიზ შარმანაშვილი, ვასილ გონაშვილი, ლაშა ტუღუში, თორნიკე ჭეიშვილი.**

კონსტიტუციური ორგანოების მხრიდან განხილვას ესწრებოდნენ: საქართველოს იუსტიციის მინისტრი **თეა წულუკიანი**; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე **ზაზა თავაძე**; საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე **ნინო გვენეტაძე**; სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორი **ირაკლი მექვაბიშვილი**; საქართველოს ეროვნული ბანკის აღმასრულებელი დირექტორი **გიორგი მელაშვილი**; საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანი **შალვა თადუმაძე**; საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი **გიორგი მიქაუტაძე**; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **დავით გაბაიძე**; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი **ვახტანგ ყოლბაია**; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **ელგუჯა გვაზავა**.

განხილვის დაწყებამდე, შეხვედრის მონაწილეებმა ბათუმში, სასტუმრო „ლეო გრანდში“ ხანძრის შედეგად გარდაცვლილთა და გაბრიელ სალოსის ქუჩაზე, სპეცოპერაციისას დაღუპული სპეცრაზმელის, ივანე გოლაშვილის ხსოვნას პატივი წუთიერი დუმილით მიაგეს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ მადლობა გადაუხადა კონსტიტუციური ორგანოების წარმომადგენლებს შეხვედრაში მონაწილეობისთვის. მან დასძინა, რომ საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვაზე ყველა კონსტიტუციური ორგანო იყო მოწვეული, მათ შორის, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, თუმცა, მათ მონაწილეობაზე უარი განაცხადეს. ამის შემდეგ მან მიმოიხილა ინიცირებული 5 ცვლილება. კერძოდ, რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლების მარეგულირებელი ნორმის შესახებ აღნიშნა, რომ ის შესაბამისობაში მოდის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ტექსტთან; ბონუსის სისტემასთან დაკავშირებით, ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ ვენეციის კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე ხდება მისი მთლიანად გაუქმება; პარლამენტის თავმჯდომარემ ისაუბრა ტერმინ „ხმოსნის“ ტერმინით „საარჩევნო კოლეგიის წევრი“ ჩანაცვლების მოტივებზე; მანვე განმარტა, რომ ვენეციის კომისიის მოთხოვნის შესაბამისად იზრდება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არჩევნების მომწესრიგებელ ნორმებზე დავის განხილვის ვადები და შესაბამისი მინიმალური ვადა ნაცვლად 3 თვისა იქნება 6 თვე, ხოლო ის ნაწილი რომელიც ითვალისწინებდა ჩატარებული არჩევნების არაკონსტიტუციურად ცნობის

თაობაზე გადაწყვეტილების საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის სიითი შემადგენლობის სრული თანხმობით მიღებას, საერთოდ იქნა ამოღებული კონსტიტუციის ახალი რედაქციის ტექსტიდან, არამედ ხსენებული კვორუმი დადგინდება „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონით; პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, კიდევ ერთი ცვლილება გარდამავალ დებულებებში საარჩევნო ბლოკების ერთჯერადად შენარჩუნებას გულისხმობს. ირაკლი კობახიძემ მოხსენების დასასრულს განმარტა, რომ ვინაიდან ცვლილებები ერთიანი სახით არის ინიცირებული, დისკუსია შეიძლება გაიმართოს კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტის იმ ასპექტებზეც, რომელიც სცდება ზემოხსენებულ 5 შესწორებას.

შეხვედრაში ჩაერთო **ექსპერტი თენგიზ შარმანაშვილი,** რომელმაც საქართველოს პრეზიდენტის არჩევის წესთან დაკავშირებით ისაუბრა და აღნიშნა, რომ უმჯობესია, ახალ რედაქციაში პირველად მოხსენიებისას ჩაიწეროს შესაბამისი ტერმინი სრული სახით „საქართველოს პრეზიდენტის საარჩევნო კოლეგია“. ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ არიან ისეთი თანამდებობის პირები, რომლებსაც აქვთ იმუნიტეტი, თუმცა, საქართველოს კონსტიტუციაში არ არიან მოხსენიებულნი, როგორც იმუნიტეტის მქონე პირები, რაც, თენგიზ შარმანაშვილის აზრით, დაუშვებელია.

თენგიზ შარმანაშვილის მოსაზრება გაიზიარა **საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ** და აღნიშნა, რომ იმუნიტეტის განსაზღვრა ჩვეულებრივი კანონით აბსოლუტურად არასწორი პრაქტიკაა და განვითარებულ სახელმწიფოებში იმუნიტეტი, როგორც წესი, კონსტიტუციით დგინდება.

საქართველოს პარლამენტის წევრმა, სალომე ზურაბიშვილმა ყურადღება გაამახვილა 2 საკითხზე. კერძოდ, უკანასკნელ პერიოდში განვითარებული მოვლენებისა და იმ ფონზე, რომ ქვეყანა განსაკუთრებულ პირობებშია, მან უცნაურად მიიჩნია მე-16 მუხლის მე-2 პუნქტში უფლებაში ჩარევის კონსტიტუციური საფუძვლებიდან „სახელმწიფო უსაფრთხოების“ ამოღება. აგრეთვე, სალომე ზურაბიშვილმა ხაზი გაუსვა ორმაგი მოქალაქეობის შესახებ ახალი კონსტიტუციური დებულების გამოქვეყნებისთანავე ამოქმედებისა და შესაბამისი შესწორების გაკეთების საჭიროებას გარდამავალ დებულებებში, ისევე, როგორც „მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში თანადროული ცვლილებების მომზადების მიზანშეწონილობას.

პარლამენტის წევრის შეკითხვებს **ირაკლი კობახიძემ** უპასუხა და განმარტა, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების საკითხთან დაკავშირებით, ვენეციის კომისიის ექსპერტებთან სერიოზული მსჯელობა გაიმართა და ამ ფორმატში კომისიამ მკაფიოდ დააფიქსირა კონსტიტუციური ნორმის ევროკონვენციასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის საჭიროება. ამავე დროს, მან ხაზი გაუსვა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას რწმენის თავისუფლებაში ჩარევის საფუძვლებთან დაკავშირებით და „სახელმწიფო უსაფრთხოება", როგორც კონსტიტუციურ-სამართლებრივი ზღვარი, ამ კონტექსტში პრობლემურად წარმოაჩინა. ხოლო რაც შეეხება მოქალაქეობის საკითხს, პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით პრინციპი, რომ ამ კუთხით კონსტიტუცია უფრო ლიბერალური უნდა გახდეს უკვე დამტკიცებულია, ხოლო თუ არის დამატებითი ზომების მიღების საჭიროება, მათ შორის, ნორმის ამოქმედების ვადებთან დაკავშირებით, შესაძლებელია საპარლამენტო ფორმატში მსჯელობის გაგრძელება შესაბამის ფორმულირებასთან დაკავშირებით.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ზაზა თავაძე დადებითად გამოეხმაურა საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციასთან დაკავშირებით ინიცირებულ შესწორებას. გარდა ამისა, ზაზა თავაძე შეეხო პრეზიდენტის არჩევის წესს, რომელიც, მისი აზრით, დახვეწას საჭიროებს. კერძოდ, მისი თქმით, კონსტიტუციის სულისკვეთებიდან გამომდინარე და იქედან გამომდინარე, თუ რა დონის დოკუმენტია ის, პრეზიდენტის არჩევნების წესი ცალსახად გადასახედია. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ იმ სახელმწიფოთა კონსტიტუციური პრაქტიკის ანალიზის ფონზე, რომლებიც წარმოადგენენ საპარლამენტო რესპუბლიკებს და პრეზიდენტს ირჩევენ არაპირდაპირი წესით, ერთ-ერთ ალტერნატივად ქართული რეალობაში შეიძლება განხილულ იქნეს პრეზიდენტის არჩევა საქართველოს პარლამენტის მიერ, მით უმეტეს, იმის გათვალისწინებით, რომ ადრე ამაზე მსჯელობა უკვე იყო.

პრეზიდენტის არჩევის წესთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის განცხადებას გამოეხმაურა **საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე,** რომელმაც განაცხადა, რომ აღნიშნულ საკითხზე სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიაში მსჯელობისას, სერიოზული დისკუსია გაიმართა. კერძოდ, მისი თქმით თავდაპირველად კომისიაში შემოთავაზებული იყო საპარლამენტო არჩევის წესი. თუმცა, აღნიშნულთან დაკავშირებით იყო გარკვეული კრიტიკა, რაც არსებულ კონტექსტთან იყო დაკავშირებული, მათ შორის იმასთან, რომ

ჯერ არ იყო განსაზღვრული ამოქმედების ვადა, ანუ, როდიდან შევიდოდა ძალაში პრეზიდენტის არჩევის ახალი წესი - იქნებოდა ეს მომავალ წელს, თუ რამდენიმე წლის შემდეგ; ხოლო მეორე მხრივ, დაკავშირებული იყო პარლამენტის არჩევის წესთან. ანუ, ჯერ ჩატარდებოდა პრეზიდენტის არაპირდაპირი არჩევნები და შემდეგ გაიმართებოდა პარლამენტის პირველი პროპორციული არჩევნები, რაც მომდევნო მოწვევის პარლამენტის დაუბალანსებლობის საფრთხესა და, შესაბამისად, ასეთი პარლამენტის მიერ პარტიული ნიშნით პრეზიდენტის არჩევის შესაძლებლობას ქმნიდა. თუმცა, ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ დღეს-დღეობით ეს ვითარება შეცვლილია, ვინაიდან არაპირდაპირი წესით პირველი საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება მას შემდეგ, რაც უკვე არჩეული იქნება პროპორციული წესით პარლამენტი და, ალბათ, ახლა რომ დაწყებულიყო ზემოხსენებული საკითხის განხილვა, პოზიციები უფრო მეტად გადაიხრებოდა საპარლამენტო არჩევის წესისკენ, რაც არის იურიდიულად ბევრად უფრო გამართული წესი. პარლამენტის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროცედურა მასაც ხარვეზიანად მიაჩნია. ამის დასტურად მან ერთ-ერთ პრობლემურ ასპექტად მოიხმო ადმინისტრაციული - ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების პოლიტიკური არჩევნებისთის გამოყენება. გარდა ამისა, ირაკლი კობახიძემ ხაზი გაუსვა ამ მექანიზმის ნეგატიურ პოლიტიკურ ეფექტს და პერმანენტულ საუბრებს იმის შესახებ, რომ „ვიღაც სამასი კაცი“ ირჩევს პრეზიდენტს. მისი პოზიციით, არსებობს ერთგვარი დილემა - ერთი მხრივ, საკონსტიტუციო ცვლილებების ავტორები მაქსიმალურად ერიდებიან ცვლილებების შეტანას უკვე დამტკიცებულ დოკუმენტში, თუმცა, მეორე მხარეს დგას პრეზიდენტის ლეგიტიმაციის ინტერესი და ამ შემთხვევაში, უმჯობესია, რომ არც საბაბი და არც საფუძველი არავის დარჩეს იმის სათქმელად, რომ პრეზიდენტი არის არჩეული „გაუგებარი“ ინსტიტუტის მიერ. ამ ფონზე, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, პრეზიდენტის არჩევის საპარლამენტო წესი არის კითხვის ნიშნების გარეშე, არის რა პარლამენტი აბსოლუტურად ლეგიტიმური, ხალხის მიერ არჩეული, მკაფიო სტატუსის მქონე ორგანო.

ექსპერტმა თენგიზ შარმანაშვილმა განაცხადა, რომ თვითმმართველობა წარმოადგენს ადგილობრივი საკითხების მოწესრიგების უფლებას და აღნიშნულის გათვალისწინებით პრობლემურად წარმოაჩინა თვითმმართველობების ჩართულობა პრეზიდენტის არჩევის საქმეში.

საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, მამუკა მდინარაძემ განაცხადა, რომ პრეზიდენტის არჩევის წესთან დაკავშირებით ზემოხსენებული

დილემის გადაჭრა უმჯობესია განხორციელდეს იურიდიულად სწორი გადაწყვეტილების მიღების საფუძველზე, რაც გულისხმობს პრეზიდენტის არჩევას საპარლამენტო წესით, მით უმეტეს, იმის გათვალისწინებით, რომ საპარლამენტო უმრავლესობის უმრავლესობა სწორედ ამ მექანიზმს უჭერდა მხარს.

გაზეთ „რეზონანსის“ მთავარმა რედაქტორმა, ლაშა ტუღუშმა აღნიშნა, რომ საშუალოვადიან პერსპექტივაში პრეზიდენტის არაპირდაპირი წესით არჩევა მისთვის სადავოა. თუმცა, თუ მაინც ნარჩუნდება ხსენებული პრინციპი, ხომ არ იქნებოდა უპრიანი ორპალატიანი პარლამენტის მოდელზე დაფიქრება. აგრეთე, ლაშა ტუღუშმა კიდევ ერთხელ დააფიქსირა პოზიცია 2020 წელსვე პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით. მოქალაქეობის საკითხზე საუბრისას, ახალი რეგულაციების გათვალისწინებით, გაზეთ „რეზონანსის“ მთავარმა რედაქტორმა დასვა კითხვა, თუ რა ბედი ელით იმ მოქალაქეებს, რომლებმაც მოქმედი კონსტიტუციური დებულებების გამო დაკარგეს საქართველოს მოქალაქეობა, მაშინ როდესაც გახდნენ სხვა ქვეყნის მოქალაქეები. ასევე, ლაშა ტუღუში შეეხო ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირთათვის უმაღლესი სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობების დაკავების შეზღუდვის მასშტაბებს და მხარი დაუჭირა შესაბამისი ჩამონათვალის გაფართოებას.

საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე მამუკა მდინარაძე გამოეხმაურა ლაშა ტუღუშის განცხადებას ორპალატიანი პარლამენტის დამკვიდრებასთან დაკავშირებით და ხაზი გაუსვა საკითხის სენსიტიურობას, ვინაიდან თემა კავშირშია ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან და ნებისმიერი ცვლილება ამ კუთხით შეიძლება აღქმული იყოს პოზიციების გადახედვად. ამიტომ, მამუკა მდინარაძე კატეგორიულად არ მიემხრო ორპალატიანი პარლამენტის შესახებ დისკუსიას.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ დამატებითი განმარტებები გააკეთა ორმაგი მოქალაქეობის პირთათვის უმაღლესი სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის დაკავებაზე არსებულ ცენზებთან დაკავშირებით; ორპალატიანი პარლამენტის პერსპექტივაზე ქართულ რეალობაში და იმ ადამიანების მოქალაქეობის აღდგენის საკითხზე, რომლებმაც სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობის მიღების გამო, არსებული რეგულაციების გათვალისწინებით, დაკარგეს საქართველოს მოქალაქეობა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, დავით გაბაიძემ აღნიშნა, რომ ჯერ-ჯერობით არ არის განსაზღვრული სახელმწიფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა, რაც თავისმხრივ გარკვეულ ხარვეზებს წარმოშობს, მათ შორის, პრეზიდენტის არაპირდაპირი წესით არჩევის მექანიზმში. ამიტომ, ამ ეტაპზე მან მიზანშეწონილად არ მიიჩნია პრეზიდენტის არჩევის წესის კორექტირება და უპირატესობა მიანიჭა ვენეციის კომისიის რეკომენდაციებიდან გამომდინარე ცვლილებებით შემოფარგვლას.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, ელგუჯა გვაზავამ ითხოვა დაზუსტება 2024 წელს პრეზიდენტობის კანდიდატობასთან დაკავშირებით, ხომ არ იქნება აუცილებელი რომ პირი პარლამენტის წევრი იყოს. მანვე ისაუბრა კონცეფციაზე, რომელსაც ამზადებს კოლეგებთან ერთად აფხაზეთის, როგორც ავტონომიური ერთეულის სტატუსთან დაკავშირებით, რაც გულისხმობს აფხაზეთისთვის ფართო ავტონომიის მინიჭებას.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, გიორგი მიქაუტაძემ ყურადღება გაამახვილა კონსტიტუციის ახალი რედაქციის 64-ე მუხლის მე-2 პუნქტზე. კერძოდ, ასპექტზე, რომელიც გულისხმობს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს შემადგენლობაში არაუმეტეს 8 მოსამართლე წევრის ყოფნის დასაშვებობას, მაშინ როცა ამჟამად მოქმედი რედაქცია უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ექს-ოფიციო წევრობის გათვალისწინებით ამ ოდენობას 9-მდე ზრდის. ამდენად, ხსენებულ კონტექსტში მან დააყენა ტერმინ „ნახევარის“ ჩანაცვლების საკითხი ტერმინით „სამი მეხუთედი“, რაც აღადგენს მოსამართლე წევრთა რაოდენობრივ სტატუს-კვოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში. ამასთანავე, გიორგი მიქაუტაძემ მიზანშეწონილად მიიჩნია კონსტიტუციაში ჩანაწერის არსებობა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის უფლებამოსილებების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ, ნინო გვენეტაძემ, აგრეთვე, გაუსვა ხაზი იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მოსამართლე წევრების რაოდენობის შესახებ საკითხის მაღალ მნიშვნელობას და ამ თემაზე მიმდინარე დისკუსიებს. შესაბამისად, მან აღნიშნა, რომ მოხდება პოზიციათა შეჯერება და შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენა.

პარლამენტის თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კომპოზიციასთან დაკავშირებით ერთ-ერთ ალტერნატივად მოსამართლე წევრებთან

მიმართებით შესაბამის ნორმაში „სამი მეხუთედის“ განსაზღვრების შემოტანა დასახა, ხოლო, მეორე მხრივ, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ექს-ოფიციო წევრობის შენარჩუნების პერსპექტივაზე და ამ გზით მოსამართლე წევრთა 9-კაციანი შემადგენლობის დატოვების შესახებ ისაუბრა.

საქართველოს იუსტიციის მინისტრმა, თეა წულუკიანმა პრინციპული პოზიცია დააფიქსირა კონსტიტუციის ახალი რედაქციის მე-18 მუხლთან დაკავშირებით. კერძოდ, მისი განცხადებით ნორმაში ფიქსირდება არაერთი ხარვეზი, მაგალითად ტერმინ „პირად საიდუმლოებასთან“ დაკავშირებით, რომელიც მოძველებული ცნებაა; არამედ, მას დღეს-დღეობით ეწოდება „პირადი მონაცემი“. გარდა ამისა, იუსტიციის მინისტრი შეეხო ზემოხსენებული მუხლის მე-2, მე-3 პუნქტებთან დაკავშირებულ ნიუანსებს, რომლის მიხედვითაც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო შეიძლება აღმოჩნდეს ძალიან რთულ ვითარებაში. ამ კონტექსტში თეა წულუკიანმა ისაუბრა კანონის მიერ დამკვიდრებულ მაღალ სტანდარტზე პირადი მონაცემების დაცვასთან დაკავშირებით, რომელიც წინ უსწრებს კონსტიტუციურ რეგულაციას. შესაბამისად, მისი პოზიციით აუცილებელია კონსტიტუციაშიც აისახოს პერსონალური მონაცემების შესახებ კანონში დამკვიდრებული მაღალი, ევროპული სტანდარტი, რაც შესაძლებელს გახდის კონსტიტუციურ საფუძვლებზე დაყრდნობით უარის თქმას სამოქალაქო რეესტრისადმი მიმართვის შემთხვევაში რიგ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც ეხება პირადი მონაცემების გაცემას. ორმაგი მოქალაქეობის საკითხთან დაკავშირებით იუსტიციის მინისტრმა გაიზიარა სალომე ზურაბიშვილის პოზიცია ახალი კონსტიტუციური რეგულაციის გამოქვეყნებისთანავე ამოქმედებასთან დაკავშირებით. თეა წულუკიანი, აგრეთვე, შეეხო რწმენის თავისუფლების უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით ევროკონვენციაში არსებულ საფუძვლებს და, ისევე, როგორც რიგ სხვა უფლებებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უპრიანი იქნებოდა კონვენციით რეგლამენტირებული სტანდარტის გადმოტანა ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივ ზღვრებთან დაკავშირებით. დასასრულს, იუსტიციის მინისტრი დაინტერესდა, თუ რა გახდა ტერმინ „ხმოსნის“ ამოღების საფუძველი ინიცირებული ცვლილებებიდან და ხაზი გაუსვა ქართული ტერმინების დამკვიდრების მნიშვნელობას კონსტიტუციურ დონეზე, ამ კუთხით მან ნეგატიურად შეაფასა ტერმინ „ინტერპელაციის“ რეგლამენტაცია.

გაზეთ „რეზონანსის“ მთავარმა რედაქტორმა, ლაშა ტუღუშმა აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა ტერმინ „ხმოსნის“ შენარჩუნება, რადგანაც ის არის ძველი ქართული სამართლებრივი ტერმინი.

ექპერტმა ვასილ გონაშვილმა აქცენტი გააკეთა საპარლამენტო რესპუბლიკაში პრეზიდენტის არაპირდაპირი არჩევის წესის მიზანშეწონილობაზე. მათ შორის, მან აღნიშნა, რომ ემხრობა პრეზიდენტის არჩევას საპარლამენტო გზითაც, რა შემთხვევაშიც მოხდება დაახლოება ლატვიის მოდელთან.

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, ვახტნგ ყოლბაიამ გააკეთა განცხადება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე, კონსტიტუციური კანონპროექტის გარდამავალ დებულებებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტრუქტურებთან დაკავშირებით ჩანაწერის გაკეთების საჭიროებაზე. კერძოდ, მისი პოზიციით, კონსტიტუციურ რეგულირებას უნდა დაექვემდებაროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ფორმირების საკითხი, აგრეთვე, საქართველოს პარლამენტის შესაბამისი დადგენილებიდან გამომდინარე, უმაღლესი საბჭოს საკითხი. ვახტანგ ყოლბაიამ აღნიშნა, რომ შესაბამის ფორმულირებას მიაწვდიდა საკონსტიტუციო ცვლილებების საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიას.

პარლამენტის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა განხილვის მონაწილეებს საინტერესო დისკუსიისთვის. ამით შეხვედრა დასრულდა.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო ცვლილებების საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისია 2017 წლის 2 ნოემბერს საქართველოს პარლამენტში საქართველოს კონსტიტუციის 102-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად წარდგენილი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის (№07-3/101, 02.11.2017) საქართველოს კონსტიტუციითა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილ 1-თვიან საყოველთაო-სახალხო განხილვას დასრულებულად მიიჩნევს. განსხვავებული წერილობითი პოზიცია დააფიქსირა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ, საკონსტიტუციო ცვლილებების საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის წევრმა, ირმა ინაშვილმა (წერილი N19648 თან ერთვის).

დაცულია წარდგენილი საკონსტიტუციო ცვლილებების (№07-3/101, 02.11.2017) განხილვისათვის დაწესებული მოთხოვნები და ზემოაღნიშნული კანონპროექტი მზადაა საქართველოს კონსტიტუციისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად საქართველოს პარლამენტის საკომიტეტო და პლენარულ სხდომებზე განსახილველად.

ირაკლი კობახიძე

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე,

საკონსტიტუციო ცვლილებების
საყოველთაო-სახალხო განხილვის
საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარე

საქართველოს
პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარის
მოადგილე

N 19648

04/12/2017

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს

ბატონ ირაკლი კობახიძეს

ბატონო ირაკლი,

წარმოდგენილ ოქმს ხელს არ ვაწერ, ვინაიდან არ მიმიღია მონაწილეობა საყოველთაო სახალხო განხილვის მეორე ეტაპის საორგანიზაციო საქმიანობაში. საორგანიზაციო კომისიის პირველ სხდომაზე არ იქნა გათვალისწინებული ჩემი წინადადება, საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვას ჰქონოდა მართლაც სახალხო განხილვის ფორმატი და ეს შეხვედრები გადაცემულიყო საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის მეორე არხის პირდაპირ ეთერში.

ვინაიდან კომისიამ არ გაითვალისწინა ჩემი წინადადებები, არ მივიღე მონაწილეობა იმ ფორმატში, რომელსაც მხოლოდ ხელოვნური დატვირთვა და ხასიათი ჰქონდა. ამდენად წარმოდგენილ ოქმს ხელს არ ვაწერ.

რაც შეეხება ცვლილებების შინაარსს, მოხარული ვარ, რომ ბოლოს და ბოლოს უმრავლესობამ გაითვალისწინა ჩემი, ოპოზიციის სხვა წარმომადგენლების, ვენეციის კომისიის შენიშვნა გაუქმებულიყო ბონუს სისტემა, რომელსაც აქტიურად უჭერდნენ მხარს „ქართული ოცნების“ დეპუტატები.

პატივისცემით,

ირმა ინაშვილი

ი. ინაშვილი

<u>დანართი</u>

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ვარიანტი

აფხაზეთში შექმნილი ვითარების გათვალისწინებით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე მიზანშეწონილად მიგვაჩნია ქვეყნის ძირითად კანონში აფხაზეთის ამჟამად არსებული სტატუსის - ავტონომიური რესპუბლიკა - **შენარჩუნება.**

ამასთან ერთად, მიგვაჩნია, კონფლიქტის მოგვარებამდე, იძულებით გადაადგილებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ლეგიტიმაციის და მისი უფლებამოსილების განმსაზღვრელი ნორმა აისახოს საქართველოს კონსტიტუციის გარდამავალ დებულებებში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გთავაზობთ, საქართველოს კონსტიტუციის გარდამავალ დებულებებს დაემატოს 79-ე მუხლი შემდეგი შინაარსით:

მუხლი 79

1. ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენამდე და საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციური კანონის „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ მიღება და ამოქმედებამდე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოდ - უმაღლეს საბჭოდ- საქართველოს პარლამენტის 1995 წლის 24 თებერვლის # 662, 1995 წლის 14 ივნისის #759 და 1996 წლის 25 დეკემბრის #543 დადგენილებებით ცნობილია 1991 წელს აფხაზეთის ასსრ უმაღლეს საბჭოში და 1993 წელს აფხაზეთიდან საქართველოს პარლამენტში არჩეული დეპუტატები.
2. აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს შიდა ორგანიზაცია და საქმიანობის წესი განისაზღვრება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით და უმაღლესი საბჭოს რეგლამენრტით.
3. აფხაზეთის ა/რ მთავრობა არის აფხაზეთის ა/რ უმაღლესი აღმასრულებელი ორგანო, რომელიც ახორციელებს აფხაზეთის ა/რ აღმასრულებელ ხელისუფლებას და განსაზღვრავს მისი საქმიანობის ძირითად მიმართულებებს.
4. აფხაზეთის ა/რ უმაღლესი თანამდებობის პირი არის აფხაზეთის ა/რ მთავრობის თავმჯდომარე. <u>**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის კანდიდატურას,**</u> აფხაზეთის უმაღლეს საბჭოსთან კონსულტაციების <u>**შემდეგ, საქართველოს მთავრობის წინასწარი თანხმობით**</u> უმაღლეს საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტი.

მთავრობის თავმჯდომარე დამტკიცებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თუ აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭო არ დაამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტის მიერ წარდგენილ კანდიდატურას, საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია 10 დღის ვადაში აფხაზეთის ა/რ უმაღლეს საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინოს იგივე ან სხვა კანდიდატურა.

აფხაზეთის ა/რ მთავრობა ანგარიშვალდებულია საქართველოს პრეზიდენტისა და აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს წინაშე.

5. აფხაზეთის ა/რ მთავრობის სტრუქტურის, ფორმირების, უფლებამოსილების და საქმიანობის წესი განისაზღვრება აფხაზეთის ა/რ კონსტიტუციით და აფხაზეთის ა/რ მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ კანონით.

რედაქციული შენიშვნები, რომელიც არ აისახა საქართველოს
კონსტიტუციურ კანონპროექტში
(ავტორი: ნანა გოგია
ინგლისურენოვანი
მთარგმნელი-რედაქტორი)

მუხლი 4(3) - სამართლებრივი სახელმწიფო
<u>**რეკომენდაცია:**</u> სასურველია "ხელისუფლების **დანაწილების** პრინციპი" შეიცვალოს "ხელისუფლების **განაწილების** პრინციპით" (ორივე სიტყვა ნიშნავს მთელის ნაწილებად დაყოფას, თუმცა "დანაწილება" ყოველთვის არ გულისხმობს ნაწილებისგან შემდგარ მთლიანობას მაშინ, როდესაც "განაწილება" ყოველთვის გულისხმობს ამავე ნაწილებისგან შემდგარ მთლიანობას).

მუხლი 15 - პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობისა და ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლებები
მე-15 მუხლში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით და ადამიანის უფლებათა ევროკონვენციის მე-8 მუხლზე დაყრდნობით სიტყვა "კომუნიკაცია" შესაცვლელია სიტყვით "მიმოწერა" (კონვენციის მე-8 მუხლში წერია: "correspondence", რომლის ქართული შესატყვისია: "მიმოწერა").

მუხლი 43 - პარლამენტის წევრის კითხვა და ინტერპელაცია
- ამ მუხლის ჩემს მიერ შეთავაზებული სათაური "სადეპუტატო მოთხოვნა" არ იქნა გაზიარებული.
- პრობლემა ამაში არ არის, რადგან შეიძლებოდა სხვა, უფრო მისაღები ვარიანტის შერჩევა. საუბარია უცხო სიტყვის "ინტერპელაციის" გაუმართლებელ დანერგვაზე საკანონმდებლო სივრცეში, ვინაიდან ქართულ კანონმდებლობაში ამ სიტყვის გამოყენების პირველი შემთხვევა ახალ კონსტიტუციაში ფიქსირდება.
- გთავაზობთ ახალ ვარიანტს:
- მუხლი 43 - პარლამენტის წევრის კითხვა და შეკითხვის დასმის უფლება

მუხლი 47 - საერთაშორისო ხელშეკრულებები
- 47-ე მუხლის პირველ პუნქტში სიტყვების "რატიფიცირებისა და დენონსირების" შემდეგ მოხსენიებული სიტყვის "გაუქმების" ამოღება არ იქნა გაზიარებული.

- სიტყვა "დენონსირება", როგორც დიპლომატიური ტერმინი, სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა ხელშეკრულებაზე უარის თქმას, გაუქმებას, გაუქმებულად გამოცხადებას.
- კიდევ ერთხელ გთხოვთ, გაითვალისწინოთ და ამოიღოთ გამეორებული სიტყვა "გაუქმება".

მუხლი 46 - კანონის ხელმოწერა და გამოქვეყნება

- ამ მუხლთან დაკავშირებით ჩემი შენიშვნა არ იქნა გაზიარებული.
- კიდევ ერთხელ გთხოვთ, გაითვალისწინოთ ჩემი არგუმენტი, რომ პრეზიდენტი პარლამენტიდან მისთვის ხელმოსაწერად გამოგზავნილ კანონს მოტივირებული შენიშვნებით **უკან** უბრუნებს (და არა უბრუნებს) პარლამენტს. ვინმე რამეს რომ გიგზავნის, ის შეიძლება უკან დაუბრუნო ან უკან დაგიბრუნდება, როგორც ფოსტის შემთხვევაში ხდება: თუ გაგზავნილი წერილი ან ამანათი ადრესატამდე ვერ აღწევს, იგი გამგზავნს უკან უბრუნდება (და არა უბრუნდება).

მუხლი 60 - საკონსტიტუციო სასამართლო

- კიდევ ერთხელ გთხოვთ, მიაქციოთ ყურადღება, რომ სწორი ვარიანტია: "გამწესებული" და არა "განწესებული".
- შესაბამისი ზმნაა "გამწესება" (მაგ.: ახალ სამსახურში გაამწესეს; რაიონში გამწესებული მოსამართლე).
- შესადარებლად შეგიძლიათ გადახედოთ საქართველოს ორგანულ კანონს საერთო სასამართლოების შესახებ, სადაც გამოყენებულია სწორი ვარიანტი - გამწესება, გამწესებული
- რაც შეეხება სიტყვებს "განწესება და განწესებული", სავარაუდოდ, კუთხურია და ზოგჯერ გამოიყენება. თუმცა, დამეთანხმებით, რომ კონსტიტუციის ტექსტი დაცული უნდა იყოს მსგავსი გაუმართაობისგან.

მუხლი 67 - გადასახადები და მოსაკრებლები, ეკონომიკური პოლიტიკა

- პირველ პუნქტთან დაკავშირებული შენიშვნა არ იქნა გაზიარებული. კიდევ ერთხელ მოგმართავთ თხოვნით, გაითვალისწინოთ, რომ სიტყვა "ფარგლები" რაიმე მოქმედების საზღვრებს გულისხმობს, მაგ. მოლაპარაკება ხელშეკრულების ფარგლებში. ვინაიდან გადასახადი ან მოსაკრებელი მოქმედება არ არის, მისთვის ფარგლების ნაცვლად უნდა დაწესდეს ზღვრები. საუკეთესო ვარიანტია "ზღვრული განაკვეთები".
- იგივე პუნქტში კიდევ ერთი უზუსტობა ფიქსირდება. საქართველოს საგადასახადო კოდექსში წერია: "მუხლი 167. გადასახადისგან გათავისუფლება". კონსტიტუციის ტექსტში წერია: "გადასახადისგან **განთავისუფლება** დასაშვებია მხოლოდ კანონით".
- გრამატიკულად სწორი ფორმაა "ნ"-ს გარეშე: "გადასახადისგან **გათავისუფლება** დასაშვებია მხოლოდ კანონით".